



# ევროკავშირის „ერთიანი ბაზარი მწვანე პროდუქციისთვის“ (SMGP) ინიციატივის შეთავაზება ქართული საექსპორტო კომპანიებისათვის

## წინა ისტორია

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის „ევროკავშირი გარემოსთვის“ ფარგლებში, გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO) მხარს უჭერს ევროკავშირის „ერთიანი ბაზარი მწვანე პროდუქციისთვის“ (SMGP) ინიციატივას და მის „პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის“ (PEF) ინსტრუმენტს აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში. PEF მეთოდოლოგია კომპანიებს ეხმარება მათი პროდუქციის გარემოსდაცვითი ეფექტურობის შეფასებაში და მდგრადი პროდუქციის ბაზარზე საკუთარი კომპანიის კომპეტენტურ პოზიციონირებაში. საქართველოში და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, UNIDO აქცენტს აკეთებს არსებული პრაქტიკისა და PEF-ის განხორციელების კუთხით არსებული ბარიერების შესწავლაზე (და ეტიკეტების არსებულ სქემებთან შედარებაზე), ასევე, ცნობიერების ამაღლებაზე SMGP ინიციატივის შესაძლებლობებისა და სარგებლის შესახებ. ეს ყველაფერი უზრუნველყოფს გზის გაკვალვას PEF მეთოდოლოგიის პილოტირებისა და რეკლამირებისათვის შერჩეულ სფეროებში.

ეს ლიფლეტი არის PEF-ისადმი მიძღვნილი რესურსების ნაწილი, რომელიც შექმნილია პროგრამის „ევროკავშირი გარემოსთვის“ მხარდაჭერით და მიზნად ისახავს ეკო-მეგობრული პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობას საქართველოში.

## ევროკავშირის ერთიანი ბაზარი მწვანე პროდუქციისთვის

2013-2018 წლებში, ევროკავშირში გარემოსდაცვით საკითხებზე კომუნიკაციისათვის სამართლიანი და თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნის მიზნით, ევროკომისიამ შემოიღო ინიციატივა „ერთიანი ბაზარი მწვანე პროდუქციისთვის“. აღნიშნული ინიციატივა მოიცავს მეთოდების - „პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალი“ (PEF) და „ორგანიზაციის გარემოსდაცვითი კვალი“ (OEF) გამოყენებას რაც კომპანიებს დაეხმარებათ დაასაბუთონ საკუთარი განაცხადი, რომ არიან ეკო-მეგობრული კომპანიები.

## პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალი (PEF)

PEF<sup>1</sup> მეთოდი უზრუნველყოფს სამართლიან კონკურენციას მწარმოებლებს შორის და აუმჯობესებს პროდუქციის გარემოსდაცვითი ეფექტიანობის შედარებითობასა და კომუნიკაციას. ევროკომისიამ PEF მეთოდი შექმნა, როგორც პროდუქციის გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასების ძირითადი საშუალება პროდუქციის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში (ნედლეულის ამოღებიდან წარმოების, ტრანსპორტირების მოხმარებისა და ნარჩენების განადგურების ეტაპების ჩათვლით). PEF მეთოდოლოგია ასევე კარგი საშუალებაა პროდუქტის გარემოსდაცვითი ზემოქმედების შესაფასებლად ზემოქმედების 16

სხვადასხვა კატეგორიის საფუძველზე. ამგვარი კატეგორიები მოიცავს კლიმატის ცვლილებას, მიწის მოხმარებას, წყლის და რესურსების მოხმარებას. შემდგომ ხდება ზემოქმედების სხვადასხვა კატეგორიების შედეგების სტანდარტიზაცია და გამრავლება სხვადასხვა ცვლადების შეწონვით რის შედეგადაც მიიღება საბოლოო ეფექტიანობის შემაჯამებელი ქულა. ეს ყველაფერი ერთად ქმნის პროდუქტის PEF პროფილს. შემდეგ, გამოიყენება პროდუქტის გარემოსდაცვითი კატეგორიის წესები (PEFCRs), რაც უფრო ზუსტი მოდელირების საშუალებას იძლევა და უზრუნველყოფს ერთი კატეგორიის პროდუქციის შედარებასა და სტანდარტიზირებას.

## სასიცოცხლო ციკლი, ანუ გზა მდგრადობისაკენ

„სასიცოცხლო ციკლის ფილოსოფია“ (LCT)<sup>2</sup> არის ჰოლიციისტური მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს პროდუქციის გარემოსდაცვით ზემოქმედებას წარმოების პროცესის მიღმა. სწორედ ამ მიზნით, LCT აქცენტს აკეთებს მდგრადი პრაქტიკის გაძლიერებაზე წარმოების პროცესების გაუმჯობესების გზით. აღნიშნულის შედეგად, გარემოზე ზემოქმედება მცირდება და რესურსების მოხმარება მინიმალურია. LCT შეიძლება გახდეს საკმაოდ ეფექტური ინსტრუმენტი კომპანიებისათვის წარმოების ციკლის ორგანიზებისას.

სასიცოცხლო ციკლის შეფასება (LCA) არის ანალიტიკური და სისტემური მეთოდი, რომელიც გამოიყენება პროდუქტის პოტენციური გარემოსდაცვითი ასპექტების შესაფასებლად მისი სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე. LCA კომპანიებს დაეხმარება პროდუქციის გარემოსდაცვითი ზემოქმედების კომუნიკაციაში ბაზრის შესაბამის არხებში და გარემოსდაცვითი ეტიკეტების მიღწევაში რაოდენობრივ და სანდო მატრიცაზე დაყრდნობით (დღესდღეობით, შესაბამისი რეგულაცია არ არსებობს). თავის მხრივ, ეს უზრუნველყოფს, რომ საწარმოები გამოირჩეოდნენ კონკრეტულ დარგში ან კატეგორიაში მათი გარემოსდაცვითი ძალისხმევით. უფრო მეტიც, პროდუქტები მოხმარებლებების თვალში, რომლებიც გარემო-მეგობრულ ნივთებს ეძებენ, უფრო კარგ იმიჯს შეიძენს. საბოლოოდ, LCA კომპანიებს ეხმარება რესურსების მოხმარებისა და ემისიების შემცირებაში, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში, პოტენციურ დანაშოგებს და შესაბამისად, მდგრადობას აუმჯობესებს.<sup>3</sup>

## სასიცოცხლო ციკლის შეფასების (LCA) კომპონენტი

სასიცოცხლო ციკლის შეფასება (LCA) არის „სასიცოცხლო ციკლის ფილოსოფიის“ რაოდენობრივი მიდგომა. PEF და OEF მეთოდები (რომელიც ევროკავშირის SMGP ინიციატივის ფარგლებში არიან) შექმნილია იმ მიზნით, რომ შედგეს პროდუქციის და ორგანიზაციების გარემოსდაცვითი ეფექტურობის შეფასება LCA-ის მეთოდის გამოყენების გზით.

განმარტოცილებელი:

# გზა მდგრადობისაკენ

საქართველოს ექსპორტის ლანდშაფტში ევროკავშირის მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს, რადგან 2017-2022<sup>4</sup> წლების მონაცემებით (2022 წელს 20%-ით გაიზარდა, წინა წელთან შედარებით), ექსპორტის 20% სწორედ ევროკავშირის ქვეყნებში გადის. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის, ბულგარეთი არის საქართველოს წამყვანი საქსპორტო პარტნიორი, რომელზეც მთლიანი ექსპორტის თითქმის 50% მოდიოდა 2022 წელს. ევროკავშირში საქართველოდან ძირითადი საიმპორტო საქონელია სამრეწველო (ძირითადად, მინერალური პროდუქტები) და ასევე, სასოფლო სამეურნეო პროდუქტები (ბოსტნეული და სხვადასხვა სასურსათო პროდუქტები), ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო, ტექსტილი, ქიმიური ნივთიერებები და სხვა პროდუქტები. მხოლოდ 2020 წელს, ევროკავშირში იმპორტირებული ქართული პროდუქციის ღირებულებამ 763 მილიონი ევრო შეადგინა.

მიუხედავად ამისა, ვაჭრობის ხელშეწყობისა და ქართული საქსპორტო კომპანიებისათვის, რომელთაც საკუთარი პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გაყიდვა სურთ, შესაძლებლობების გასაზრდელად, გაცილებით მეტი მხარდაჭერაა საჭირო. ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკის შემქმნელების, გარემოს ინსტიტუტების, ტექნიკური ოპერატორების და პროდუქტის დიზაინის სპეციალისტების ჩართულობა მდგრადი და ცირკულარული ეკონომიკისათვის გზის გასაკვალად. თავის მხრივ, ეს უზრუნველყოფს, რომ პროდუქტები განვითარდეს და გამოყენებულ ეკო-მეგობრული ფორმით.

## PEF კვლევის ეტაპები

PEF კვლევის ჩასატარებლად, რამდენიმე ეტაპი უნდა შესრულდეს.<sup>5</sup> ქვემოთ მოცემულია ნაბიჯები რომლებიც გარემოსდაცვითი კვლის კვლევის შემუშავების ძირითად ეტაპებს აღწერს. ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, მაგრამ მისი მიზანია მკითხველისთვის მიმართულების მიცემა და დახმარება, რომ კარგად გააცნობიეროს პროდუქტის გარემოსდაცვითი კვლის კვლევის საერთო ეტაპები:

1. კომპანიის გადაწყვეტილება, რომ განახორციელოს პროდუქტის ან ორგანიზაციის გარემოსდაცვითი კვლის კვლევა (PEF და OEF);
2. შიდა რესურსების, გარე ექსპერტების მოძიება და საგანმანათლებლო საჭიროებების დადგენა;
3. მოქმედი PEFCR/OEFSR-ის (პროდუქტის გარემოსდაცვითი კვლის კატეგორიის წესები/ორგანიზაციის გარემოსდაცვითი კვლის სექტორის წესები) მოძიება;
4. თუ PEFCR/OEFSR კვლევა არ არსებობს, PEFCR/OEFSR კვლევის განხორციელება ზოგადი PEF/OEF მეთოდის საფუძველზე. თუ კვლევა არსებობს, PEF/OEF-ის განხორციელება PEFCR/OEFSR-ის საფუძველზე;
5. მიზნის განმარტება: მიზნების მკაფიო განმარტება აუცილებელია იმისთვის რომ ამოცანები, მეთოდოლოგიები, შედეგები და დანიშნულებისამებრ გამოყენება ერთმანეთთან შესაბამისობაში მოდიოდეს და არსებობდეს საერთო ხელდაკვლევაში ჩართული პირებისათვის მიმართულების მისაცემად;
6. სფერო და განმარტება: ტექნიკური მახასიათებლები და შეფასებული სისტემები დეტალურად არის აღწერილი PEF კვლევის ფარგლებში;
7. სასიცოცხლო ციკლის ინვენტარი: PEF-ის მოდელირებისთვის აუცილებელია ყველა საჭირო რესურსის (მასალები, ენერჯია, ნარჩენები და ემისია ჰაერში, წყალი და ნიადაგი (პროდუქტის მომარაგების ჯაჭვში) ინვენტარიზაცია.
8. სასიცოცხლო ციკლის შემოქმედების შეფასება: მას შემდეგ, რაც სასიცოცხლო ციკლის მარაგები გაერთიანდება, აუცილებელია გარემოსდაცვითი კვლის შემოქმედების შეფასება, რათა განისაზღვროს პროდუქტის გარემოსდაცვითი ეფექტიანობა, გამოყენებულ იქნას გარემოსდაცვითი კვლის შემოქმედების ყველა კატეგორია და მოდელი. გარემოსდაცვითი კვლის შემოქმედების შეფასება მოიცავს ოთხ ეტაპს: კლასიფიკაცია, დახასიათება, ნორმალიზაცია და შეწონვა.
9. ინტერპრეტაცია: ეს ეტაპი უზრუნველყოფს, რომ PEF მოდელი შესაბამისობაშიდეს კვლევის მიზნებსა და ხარისხის სტანდარტებს.

9. აქ, სასიცოცხლო ციკლის ინტერპრეტაცია უზრუნველყოფს უკუკავშირს, რაც აძლიერებს PEF მოდელს, სანამ ყველა მიზანი და მოთხოვნა არ შესრულდება. ამასთანავე, ის არის კარგი საშუალება დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად ანალიზის საფუძველზე და ხელს უწყობს გარემოსდაცვით კუთხით მიღწევებს.
10. ანგარიშგება: PEF ანგარიში არის PEF კვლევის შესაბამისი, სრულყოფილი, თანმიმდევრული, უსუსტი და გამჭვირვალე რეზიუმე;
11. ვერიფიკაცია და ვალიდაცია: სავალდებულოა PEF კვლევის გადამოწმება და ვალიდაცია როცა იგი გამოიყენება გარე კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმისთვის, მაგ. კომუნიკაცია რომელიმე დანიტრერესებულ მხარესთან გარდა დამკვეთისა ან PEF კვლევის მეთოდოლოგიის მომხმარებელისა.

## რა სარგებელი აქვს PEF მეთოდს ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყნებისათვის?

„ევრობარომეტრმა“ ჩაატარა რამდენიმე კვლევა 2017-2021 წლებში.<sup>6</sup> შედეგებმა აჩვენა, რომ ეკო-მეგობრული ეტიკეტი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ევროპელი მომხმარებლის ქვეყაში შესყიდვების კუთხით, თუმცა, ცნობიერების ამაღლების დონისძიებები მუდმივად საჭირო იყო პროგრესის აღრიცხვისათვის.

- 2017 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხული ევროპელების 27% იცნობდა ევროკავშირის ეკოეტიკეტს;
- რესპონდენტების დაახლოებით 32% აცხადებდა, რომ ეკოეტიკეტი მათთვის მნიშვნელოვანია პროდუქტის შეძენასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში.
- რესპონდენტებს შორის, რომლებიც ცნობენ ეკოეტიკეტებს, 30% ადასტურებდა ეკოეტიკეტის ლოგოს მქონე პროდუქტის შეძენას. დამატებით, რესპონდენტთა 78%-მა გამოხატა ნდობა პროდუქციის მიმართ, რომელზეც ეკოეტიკეტია დატანილი და მიიჩნევს, რომ ისინი ნამდვილად ეკო-მეგობრულია.
- 2021 წლის თებერვალ-მარტში ჩატარებული კვლევის ფარგლებში აღმოჩნდა, რომ შესწავლილი ევროპელების 22% იძენს ეკოეტიკეტის მქონე პროდუქტებს, ასევე, პროდუქტებს, რომელზეც რესურს-ეფექტური და სუფთა წარმოების (RECP) ნიშნებია აღნიშნული.

კომპანიებს, რომელთაც სურვილი აქვთ საკუთარი პროდუქცია გაყიდონ, როგორც ეკო-მეგობრული, ბევრ სარგებელს უნდა ელოდონ, მათ შორის, რეპუტაციის მოპოვებას, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის დემონსტრირებას და შესაბამისად, მეტი გაყიდვებს და ხარჯების შემცირებას გაუმჯობესებული წარმოების პროცესის წყალობით („რესურსეფექტური და უფრო სუფთა წარმოება“ (RECP). PEF მეთოდი ასევე გამოიყენება პროდუქტის გარემოსდაცვითი შემოქმედების კალკულაციის საფუძველად, როგორც ამას ევროკომისია უწევს რეკომენდაციას. თავის მხრივ, ეს მეთოდები ასევე უზრუნველყოფენ, რომ საწარმო იცავდეს ერთ მიდგომას პროდუქციის გარემოსდაცვითი შემოქმედების შესაფასებლად, როცა მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლების დონისძიებებს ახორციელებს შესაბამის თემებზე. ამ გზით, ევროკავშირის SMGP ინიციატივა ითვალისწინებს გარემოზე პასუხისმგებლიან ეკონომიკურ ზრდას. ინიციატივის ნაწილში, 2023 წელს, სამდღიანი ტრენინგი ჩატარდა საქართველოში, სადაც ხუთი ექსპერტი და ხუთი საწარმო შეირჩა PEF მეთოდოლოგიის ქვეყანაში პილოტირებისათვის.

### რა შესაძლებლობებს სთავაზობს PEF ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიებს



მომხმარებელთა აღიარება და ბაზრის მხრიდან დაფასება მდგრადი პროდუქციისა თუ სერვისების პასუხისმგებლიანი მომზადებისა და მიწოდებისათვის;



კადრების მოზიდვა და შენარჩუნება, კომპანიის ძლიერი გარემოსდაცვითი რეპუტაციის გამო;



საზოგადოების მხრიდან აღიარება, რომ კომპანია გარემოს დაცვის ერთგული და პასუხისმგებლიანი საწარმოა;



თანამშრომელთა უფრო მაღალი ჩართულობა, რის შედეგადაც უფრო ეკო-მეგობრული და მდგრადი მდგომარეობა მიიღწევა;



არსებითად მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი წესების აღიარება, რასაც მოაქვს კარგად დაგეგმილი მდგრადობის პროექტები;



შესაბამისობის შენარჩუნება ევროკავშირის გარემოსდაცვით რეგულაციებთან (რადგან პერიოდულად, ყველა შესაბამისი მახასიათებელი გადამოწმდება და საჭიროების შემთხვევაში, შეიცვლება);



გაზრდილი გაყიდვები, რადგან საბოლოოდ მომხმარებლები ირჩევენ ან ითხოვენ პროდუქტებს, რომელზეც მდგრადობის ნიშნებია დატანილი.



გაზრდილი ლოიალურობა მომხმარებლების მხრიდან, რომლებიც გარემოს დაცვას უჭერენ მხარს;



ბიზნესის ან მთავრობის სატენდერო პროცესების მოთხოვნების დაკმაყოფილება, რაც გარემოსთან ან რესურს ეფექტურობასა და მდგრადობასთან არის დაკავშირებული.



პოტენციური სარგებელი ინდუსტრიული სინერგიის თვალსაზრისით და წვდომა სხვადასხვა მწვანე ინიციატივებზე.

შენიშვნა:

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია UNIDO და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალური რედაქტირების გარეშე. მასში გამოყენებული აღნიშვნები და მასალა არ გამოხატავს გაერთიანებული ერების ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) სამდივნოს მოსაზრებებს რომელიმე ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქის ან რეგიონის, მისი უწყებების ან საზღვრების დელიმიტაციის, მისი ეკონომიკური სისტემისა თუ განვითარების დონის შესახებ. ისეთი დასახელებები, როგორიცაა „განვითარებული“, „ინდუსტრიული“ ან „განვითარებადი“ მოხსენიებულია სტატისტიკური მიზნით და აუცილებლად არ ასხავს, რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ან ტერიტორიის მიერ მიღწეულ განვითარების დონეს კომპანიის და კომერციული პროდუქციის დასახელებების მოხსენიება არ გულისხმობს UNIDO-ს მიერ მათ რეკლამირებას. საინფორმაციო ფურცელში ასახული მოსაზრებები, ციფრები და გამოთვლები არის მხოლოდ და მხოლოდ მისი ავტორების პასუხისმგებლობა და არ უნდა იყოს მიჩნეული UNIDO-ს და მისი წევრი სახელმწიფოების მოსაზრებებად.

© – 2023 – UNIDO. ყველა უფლება დაცულია. ლიცენზირებულია ევროკავშირის მიერ შესაბამისი პირობებით.



**საკონტაქტო ინფორმაცია**  
**გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია**  
**„ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის“ (EU4Environment) პროექტის**  
**მენეჯერი**  
**ტატიანა ჩერნიავსკაია**  
**ტელ.: +43 1 26 0 26 5520**  
**E-mail: t.chernyavskaya@unido.org**  
**ვებ-გვერდი: www.unido.org**

[1] წყარო: [https://green-business.ec.europa.eu/environmental-footprint-methods\\_en](https://green-business.ec.europa.eu/environmental-footprint-methods_en)

[2,3] წყარო:

<https://eplca.jrc.ec.europa.eu/uploads/LCT-Making-sustainable-consumption-and-production-a-reality-A-guide-for-business-and-policy-makers-to-Life-Cycle-Thinking-and-Assessment.pdf>

[4] წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti>

[5] წყარო: [https://green-business.ec.europa.eu/environmental-footprint-methods\\_en](https://green-business.ec.europa.eu/environmental-footprint-methods_en)

[6] წყარო: [https://environment.ec.europa.eu/topics/circular-economy/eu-ecolabel-home/faq\\_en](https://environment.ec.europa.eu/topics/circular-economy/eu-ecolabel-home/faq_en)